

მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი 3420

მარწმუნებელი გარიგებები დასკვნის შედგენაზე ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით

(ძალაში შედის მარწმუნებელი დასკვნებისთვის, რომლებიც დათარიღებულია
2013 წლის 13 მარტით ან შემდგომი თარიღით)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

მგსს 3420-ის მოქმედების სფერო 1-8

ძალაში შესვლის თარიღი 9

მიზნები 10

განმარტებები 11

მოთხოვნები

მგსს 3000 12

გარიგებაზე დათანხმება..... 13

გარიგების დაგეგმვა და შესრულება 14-27

ოფიციალური წერილები 28

მოსაზრების ჩამოყალიბება 29-30

მოსაზრების ფორმა 31-34

მარწმუნებელი დასკვნის მომზადება 35

გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა

მგსს 3420-ის მოქმედების სფერო..... გ1

ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური
ინფორმაციის მიზანი გ2-გ3

პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია გ4-გ5

დასაბუთებული რწმუნების გარიგების ხასიათი..... გ6

განმარტებები გ7-გ9

გარიგებაზე დათანხმება გ10-გ12

გარიგების დაგეგმვა და შესრულება გ13-გ44

ოფიციალური წერილები გ45

მოსაზრების ჩამოყალიბება გ46-გ50

მარწმუნებელი დასკვნის მომზადება გ51-გ57

დანართი: არამოდიფიცირებული მოსაზრების შემცველი პრაქტიკოსის დასკვნის
საილუსტრაციო ნიმუში

მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (მგსს) 3420 - „მარწმუნებელი გარიგებები დასკვნის შედგენაზე ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით“ - უნდა განიხილებოდეს ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის წინასიტყვაობასთან ერთად.

შესავალი

მგსს 3420-ის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მგსს) შეეხება პრაქტიკოსის¹ მიერ განხორციელებული დასაბუთებული რწმუნების დამოწმების გარიგებებს დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებელი მხარის მიერ² კომპილირებულ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომელიც აისახება ფასიანი ქაღალდების პროსპექტში. მოცემული მგსს გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:
 - როდესაც ამგვარი დასკვნის შედგენა მოითხოვება იმ იურისდიქციის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონით ან საფონდო ბირჟის წესებით (შემდგომში „შესაბამისი კანონი ან წესები“), სადაც ეს პროსპექტი უნდა გამოიცეს; ან
 - ამგვარი დასკვნების გაცემა მოცემულ იურისდიქციაში საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს. (იხ: პუნქტი გ1)

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობის ხასიათი

2. მოცემული მგსს-ის შესაბამისად განხორციელებული გარიგების დროს პრაქტიკოსს არ გააჩნია არანაირი პასუხისმგებლობა სუბიექტისთვის პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით; ასეთი პასუხისმგებლობა პასუხისმგებელ მხარეს აკისრია. პრაქტიკოსის ერთადერთი პასუხისმგებლობა ის არის, რომ დასკვნა შეადგინოს იმის შესახებ, პასუხისმგებელმა მხარემ განახორციელა თუ არა პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია სათანადო კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.
3. წინამდებარე მგსს არ ეხება არამარწმუნებელ გარიგებებს, როდესაც სუბიექტი პრაქტიკოსს ქირაობს გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების კომპილაციისთვის.

პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის მიზანი

4. პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის ერთადერთ მიზანია სუბიექტის დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის ან ოპერაციის გავლენის დემონსტრირება ისე, თითქოს ეს მოვლენა მოხდა, ან ეს ოპერაცია განხორციელდებოდა ადრე, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში პროფორმა კორექტირებების შეტანით. პროფორმა ფინანსური ინფორმაცია არ ასახავს სუბიექტის ფაქტობრივ ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს ან ფულადი სახსრების მოძრაობას. (იხ: პუნქტები გ2–გ3)

პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია

5. პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია მოიცავს პასუხისმგებელი მხარის მიერ ისეთი ფინანსური ინფორმაციის შეგროვებას, კლასიფიცირებას, განზოგადებასა და წარდგენას, რომელიც გვიჩვენებს სუბიექტის დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი მოვლენის ან სამეურნეო ოპერაციის გავლენას ისე, თითქოს ეს მოვლენა ან ოპერაცია განხორციელდა საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეულ დღეს. ეს პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის წყაროს დადგენას, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის, ასევე დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის ამოღებას ამ წყაროდან; (იხ: პუნქტები გ4–გ5)
 - დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში პროფორმა კორექტირებების შეტანას იმ მიზნით, რა მიზნითაც ხდება ამ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენა; და

¹. მგსს 3000 (გადასინჯული) - „მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა“ - პუნქტი 12 (ს).

². მგსს 3000 (გადასინჯული), პუნქტი 12(ქ).

- კორექტირების შედეგად მიღებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენას შესაბამის განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

დასაბუთებული რწმუნების გარიგების ხასიათი

6. დასაბუთებული რწმუნების გარიგება კომპილირებულ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შესახებ დასკვნის შესადგენად მოიცავს წინამდებარე მგსს-ისთ განსაზღვრული პროცედურების ჩატარებას, რომლებიც განკუთვნილია იმის შესაფასებლად, პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული შესაფერისი კრიტერიუმები უზრუნველყოფს თუ არა დასაბუთებულ საფუძველს იმ მნიშვნელოვანი გავლენის წარმოსაჩენად, რომელსაც უშუალოდ განაპირობებს მოცემული მოვლენა ან ოპერაცია, ასევე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას იმის შესახებ: (იხ: პუნქტი გ)

- შესაბამისი პროფორმა კორექტირებები სათანადო გავლენას ახდენს თუ არა ამ კრიტერიუმებზე; და
- პროფორმა ინფორმაციის საბოლოო სვეტი (იხ. მე-11(გ) პუნქტი) სწორად ასახავს თუ არა აღნიშნული კორექტირებების შეტანას დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში.

გარიგება ასევე მოიცავს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის საერთო წარდგენის შეფასებას. თუმცა, გარიგება არ ითვალისწინებს პრაქტიკოსის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემული მოსაზრებების გადახედვას ან დასკვნების ხელახლა შედგენას, ან პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარებას.

კავშირი მგსს 3000-სთან (გადასინჯული), სხვა პროფესიულ დოკუმენტებსა და სხვა მოთხოვნებთან

7. პროსპექტში გათვალისწინებული კომპილირებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შესახებ დასკვნის შედგენასთან დაკავშირებული მარწმუნებელი გარიგების განხორციელებისას პრაქტიკოსი ვალდებულია, დაიცვას მგსს 3000-ისა (გადასინჯული) და მოცემული მგსს-ის მოთხოვნები. წინამდებარე მგსს ავსებს მგსს 3000-ს (გადასინჯული) (მაგრამ არ არის მისი შემცველი) და უფრო კონკრეტულად გვიჩვენებს, როგორ უნდა გამოვიყენოთ მგსს 3000 (გადასინჯული) დასაბუთებული რწმუნების გარიგების დროს, რომელიც ითვალისწინებს დასკვნის შედგენას პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით.

8. მგსს 3000-ის (გადასინჯული) მოთხოვნების დაცვა, სხვასთან ერთად, გულისხმობს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) მოთხოვნების დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია მარწმუნებელ გარიგებებთან, ან სხვა პროფესიული თუ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას, რომლებიც ბესსს-ის კოდექსის მოთხოვნებზე არანაკლებ მკაცრია³. ასევე იგულისხმება, რომ გარიგების პარტნიორი უნდა იყოს ისეთი ფირმის წარმომადგენელი, რომელიც იყენებს ხკსს 1-ს, ან სხვა პროფესიულ თუ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც ხკსს 1-ის მოთხოვნებზე არანაკლებ მკაცრია⁴.

მალაში შესვლის თარიღი

9. მოცემული მგსს ვრცელდება იმ მარწმუნებელ დასკვნებზე, რომლებიც დათარიღებულია 2013 წლის 13 მარტით ან შემდგომი თარიღით.

³ მგსს 3000 (გადასინჯული), პუნქტები 3(ა), მე-20 და 34-ე.

⁴ მგსს 3000 (გადასინჯული), პუნქტები 3(ბ) და 31(ა). ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს)1 - „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელ და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.

მიზნები

10. პრაქტიკოსის მიზნებია:

- ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია განახორციელა თუ არა შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- ბ) დასკვნის შედგენა პრაქტიკოსის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგების შესაბამისად.

განმარტებები

11. წინამდებარე მგსს-ის მიზნებისთვის, ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) შესაფერისი კრიტერიუმები – პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს გამოყენებული კრიტერიუმები. კრიტერიუმები შეიძლება დადგენილი იყოს სტანდარტების დამდგენი უფლებამოსილი ან აღიარებული ორგანიზაციის მიერ, ან კანონმდებლობით. თუ არ არსებობს დადგენილი კრიტერიუმები, პასუხისმგებელმა მხარემ თვითონ უნდა შეიმუშაოს ისინი; (იხ. პუნქტები გ7–გ9)
- ბ) პროფორმა კორექტირებები – დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში, ამგვარი კორექტირებები მოიცავს:
 - (i) დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში შეტანილ კორექტირებებს, რომლებიც გვიჩვენებს მნიშვნელოვანი მოვლენის ან სამეურნეო ოპერაციის (შემდგომში „მოვლენა“ ან „ოპერაცია“) გავლენას ისე, თითქოს ეს მოვლენა მოხდა ან ეს ოპერაცია განხორციელდა ადრე, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის; და
 - (ii) დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში შეტანილ კორექტირებებს, რომლებიც აუცილებელია პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის ისეთი საფუძველით, რომელიც შეესაბამება ანგარიშვალდებული სუბიექტის (შემდგომში „სუბიექტი“) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძველებს და ამ საფუძველების მიხედვით განსაზღვრულ მის საადრიცხვო პოლიტიკას; (იხ: პუნქტები გ15–გ16)

პროფორმა კორექტირებები მოიცავს შესაბამის ფინანსურ ინფორმაციას სუბიექტის შესახებ, რომელიც შეძენილია ან შეძენას ექვემდებარება („შეძენილი საწარმო“), ან სუბიექტის შესახებ, რომლის აქტივებიც გასხვისებულია ან გასხვისებას ექვემდებარება („გასხვისებული საწარმო“), იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს ინფორმაცია გამოიყენება პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის (შემდგომში „შეძენილი საწარმო“ ან „გასხვისებული საწარმო“).

- გ) პროფორმა ფინანსური ინფორმაცია – ფინანსური ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია კორექტირებებთან ერთად, დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე ამა თუ იმ მოვლენის ან ოპერაციის გავლენის საილუსტრაციოდ, რასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს მოვლენა მოხდებოდა ან ეს ოპერაცია განხორციელდებოდა ადრე, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის. წინამდებარე მგსს-ში იგულისხმება, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია სვეტიცხუის ფორმატით, რომელიც მოიცავს (ა) დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციას; (ბ) პროფორმა კორექტირებებს; და (გ) საბოლოო სვეტს, მიღებული პროფორმა ინფორმაციისთვის; (იხ: პუნქტი გ2)
- დ) ფასიანი ქაღალდების პროსპექტი – საკანონმდებლო ან მარეგულირებელი მოთხოვნების საფუძველზე გამოცემული დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის ფასიანი ქაღალდებთან, რომლის მიხედვითაც, როგორც ივარაუდება, მესამე მხარემ უნდა მიიღოს საინვესტიციო გადაწყვეტილება;

- ე) გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაცია – საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ინფორმაცია სუბიექტის, ან შეძენილი საწარმოს, ან გასხვისებული საწარმოს შესახებ;
- ვ) დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია – სუბიექტის ფინანსური ინფორმაცია, რომლის მიმართაც პასუხისმგებელი მხარე ასრულებს პროფორმა კორექტირებებს, პროფორმა ინფორმაციის მისაღებად. (იხ: პუნქტები გ4–გ5)

მოთხოვნები

მგსს 3000 (გადასინჯული)

- 12. პრაქტიკოსი ვერ განაცხადებს, რომ დაიცვა წინამდებარე მგსს-ის მოთხოვნები, თუ მან არ დაიცვა როგორც წინამდებარე მგსს-ის, ასევე მგსს 3000-ის (გადასინჯული) მოთხოვნები.

გარიგებაზე დათანხმება

- 13. სანამ დაეთანხმება გარიგებას, რომელიც ეხება დასკვნის შედგენას იმის შესახებ, პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, პრაქტიკოსმა:
 - ა) უნდა დაადგინოს, რომ იმ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ გარიგების განხორციელებაში, ერთობლივად გააჩნიათ გარიგების შესასრულებლად აუცილებელი კომპეტენცია და უნარები; (იხ: პუნქტი გ10)
 - ბ) გარიგებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ წინასწარ ცნობილი ინფორმაციისა და პასუხისმგებელ მხარესთან მსჯელობის საფუძველზე, უნდა დაადგინოს, რომ პრაქტიკოსის მიერ სავარაუდოდ გამოსაყენებელი კრიტერიუმები მიზანშეწონილია და, სავარაუდოდ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია არ იქნება შეცდომაში შემყვანი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია;
 - გ) უნდა შეაფასოს შესაბამისი კანონით ან წესებით გათვალისწინებული მოსაზრების ტექსტი (თუ არსებობს) იმის დასადგენად, რომ პრაქტიკოსი, სავარაუდოდ, შეძლებს აღნიშნული სახით მოსაზრების გამოთქმას ამ მგსს-ით განსაზღვრული პროცედურების ჩატარების საფუძველზე; (იხ: პუნქტები გ54–გ56);
 - დ) თუ ჩატარებული იყო იმ წყაროების აუდიტი და მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია და შეძენილი საწარმოს ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია და დასკვნებში გამოთქმული იყო მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება ან მიმოხილვის დასკვნა, ან დასკვნა შეიცავს „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს“, პრაქტიკოსმა უნდა დაადგინოს, შესაბამისი კანონი ან წესები ამ წყაროების შესახებ მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების ან მიმოხილვის დასკვნის, ან „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის“ შემცველი დასკვნის გამოყენების, ან პრაქტიკოსის დასკვნაში მათი მითითების უფლებას იძლევა თუ არა ამ წყაროებთან მიმართებით;
 - ე) თუ არასოდეს ჩატარებულა სუბიექტის გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა, პრაქტიკოსმა უნდა განიხილოს, შეძლებს თუ არა იმ დონეზე გარკვევას სუბიექტის ოპერაციებსა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ მეთოდებში, რაც აუცილებელია მოცემული გარიგების შესასრულებლად; (იხ: პუნქტი გ31)
 - ვ) თუ მოვლენა ან ოპერაცია მოიცავს საწარმოს შეძენას, ხოლო შეძენილი საწარმოს გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა არ ჩატარებულა, პრაქტიკოსმა უნდა განიხილოს, შეძლებს თუ არა იმ დონეზე გარკვევას შეძენილი საწარმოს ოპერაციებსა და ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულ მეთოდებში, რაც აუცილებელია მოცემული გარიგების შესასრულებლად; და
 - ზ) მიიღოს პასუხისმგებელი მხარის თანხმობა იმის თაობაზე, რომ იგი აღიარებს და ადასტურებს თავის პასუხისმგებლობას; (იხ: პუნქტები გ11–გ12).

- (i) გამიზნული მომხმარებლებისთვის გამოყენებული კრიტერიუმების სათანადოდ გაცნობასა და აღწერაზე, თუ ეს კრიტერიუმები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- (ii) შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაზე; და
- (iii) იმაზე, რომ პრაქტიკოსი უზრუნველყოს:
 - ა) ყველანაირი ინფორმაციით (მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნილი საწარმოს (საწარმოების) შესახებ ინფორმაციით საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში), როგორცაა ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა მასალა, რაც აუცილებელია იმის შესაფასებლად, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე;
 - ბ) დამატებითი ინფორმაციით, რომელიც პრაქტიკოსმა შეიძლება მოითხოვოს პასუხისმგებელი მხარისაგან გარიგების შესრულების მიზნით;
 - გ) სუბიექტის იმ თანამშრომლებთან და კონსულტანტებთან შეუზღუდავი კონტაქტით, ვისგანაც პრაქტიკოსი საჭიროდ მიიჩნევს მტკიცებულების მიღებას, რომელიც აუცილებელია იმის შესაფასებლად, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე; და
 - დ) როდესაც გარიგების მიზნებისთვის არის აუცილებელი (საწარმოთა გაერთიანების შემთხვევაში), შეუზღუდავი კონტაქტით შექმნილი საწარმოს (საწარმოების) ფარგლებში სათანადო პირებთან.

გარიგების დაგეგმვა და შესრულება

გამოსაყენებელი კრიტერიუმების მიზანშეწონილობის განსაზღვრა

14. პრაქტიკოსმა უნდა დაადგინოს, მიზანშეწონილია თუ არა გამოსაყენებელი კრიტერიუმები, როგორც ეს მგსს 3000-ით (გადასინჯული)⁵ მოითხოვება. კერძოდ, უნდა განსაზღვროს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები სულ მცირე ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს მაინც:
- ა) დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია ამოღებულია სათანადო წყაროდან; (იხ: პუნქტები გ4–გ5, გ27)
 - ბ) პროფორმა კორექტირებები:
 - (i) პირდაპირ არის დაკავშირებული მოვლენასთან ან ოპერაციასთან (იხ: პუნქტი გ13)
 - (ii) მტკიცდება ფაქტობრივი მონაცემებით; და (იხ: პუნქტი გ14)
 - (iii) შეესაბამება სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებს და ამ საფუძვლების მიხედვით განსაზღვრულ მის საადრიცხვო პოლიტიკას; და (იხ: პუნქტები გ15–გ16)
 - გ) სათანადოდ არის წარდგენილი და სათანადო ინფორმაცია არის გამჟღავნებული, რაც გამიზნულ მომხმარებლებს მიწოდებული ინფორმაციის გაგების საშუალებას მისცემს. (იხ: პუნქტები გ2–გ3, გ42).
15. გარდა ამისა, პრაქტიკოსმა უნდა შეაფასოს, გამოყენებული კრიტერიუმები:
- ა) შეესაბამება თუ არა სათანადო კანონს ან წესებს და ხომ არ ეწინააღმდეგება მათ; და

5. მგსს 3000 (გადასინჯული), პუნქტი 42(ბ)(iii) და გ45.

- ბ) ნაკლებად არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ამ კრიტერიუმების გამოყენების შედეგად პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეცდომაში შეიყვანს მომხმარებლებს.

არსებითობა

16. გარიგების დაგეგმვისა და შესრულებისას პრაქტიკოსმა არსებითობა უნდა გაითვალისწინოს იმის შესაფასებლად, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. (იხ: პუნქტები გ17–გ18)

ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია და გარიგებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები

17. პრაქტიკოსმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნას: (იხ: პუნქტი გ19)
- ა) იმ მოვლენის ან ოპერაციის შესახებ, რომლის მიმართაც განხორციელდა პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია;
 - ბ) იმის შესახებ, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია; (იხ: პუნქტები გ20–გ21)
 - გ) სუბიექტისა და შემენილი ან გასხვისებული საწარმოს საქმიანობის შესახებ, მათ შორის, მათი:
 - (i) ოპერაციების;
 - (ii) აქტივებისა და ვალდებულებების; და
 - (iii) სტრუქტურისა და დაფინანსების მეთოდების თაობაზე;
 - დ) შესაბამისი დარგობრივი, საკანონმდებლო და მარეგულირებელი, ასევე სხვა გარე ფაქტორების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტთან და შემენილ ან გასხვისებულ საწარმოსთან; და (იხ: პუნქტები გ24–გ26)
 - ე) სუბიექტისა და შემენილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძველებისა და მათ მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული მეთოდების თაობაზე, მათ შორის, მოიპოვოს ინფორმაცია, როგორ არჩევენ ამ მეთოდებს და როგორ იყენებენ სააღრიცხვო პოლიტიკას.

მტკიცებულებების მოპოვება იმ წყაროს მისაღებლობის შესახებ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია

18. პრაქტიკოსმა უნდა დაადგინოს, პასუხისმგებელმა მხარემ სათანადო წყაროდან ამოიღო თუ არა დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია. (იხ: პუნქტები გ27–გ28)
19. თუ არ არსებობს აუდიტის ან მიმოხილვის დასკვნა იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსმა უნდა ჩაატაროს პროცედურები, რათა დარწმუნდეს, რომ ეს წყარო მისაღებია. (იხ: პუნქტები გ29–გ31)
20. პრაქტიკოსმა უნდა დაადგინოს, პასუხისმგებელმა მხარემ სათანადოდ განახორციელა თუ არა წყაროდან დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის ამოღება.

მტკიცებულებების მოპოვება პროფორმა კორექტირებების მისაღებლობის შესახებ

21. იმის დასადგენად, პროფორმა კორექტირებები მისაღებია თუ არა, პრაქტიკოსმა უნდა განსაზღვროს, პასუხისმგებელმა მხარემ დაადგინა თუ არა ისეთი პროფორმა კორექტირებები, რომლებიც აუცილებელია მოვლენის ან ოპერაციის გავლენის დემონსტრირებისთვის, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღის ან პერიოდისთვის. (იხ: პუნქტი გ32)
22. იმის დასადგენად, პროფორმა კორექტირებები შეესაბამება თუ არა შესაფერის კრიტერიუმებს, პრაქტიკოსმა უნდა განსაზღვროს:
- ა) კორექტირებები უშუალოდ არის თუ არა დაკავშირებული მოვლენასთან ან ოპერაციასთან; (იხ: პუნქტი გ13)

- ბ) მტკიცდება თუ არა კორექტირებები ფაქტობრივი მონაცემებით. თუ პროფორმა კორექტირებებში გათვალისწინებულია შექმნილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია და არ არსებობს აუდიტის ან მიმოხილვის დასკვნა იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ეს ფინანსური ინფორმაციაა ამოღებული, პრაქტიკოსმა უნდა ჩაატაროს პროცედურები, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ინფორმაცია მტკიცდება ფაქტობრივი მონაცემებით; და (იხ: პუნქტები გ14, გ33–გ38)
- გ) კორექტირებები შეესაბამება თუ არა სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებს და ამ საფუძვლების მიხედვით განსაზღვრულ მის სააღრიცხვო პოლიტიკას. (იხ: პუნქტები გ15–გ16)

მოდისციპლინირებული აუდიტორული მოსაზრება ან მიმოხილვის დასკვნა, ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი იმ წყაროსთან მიმართებაში, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, ან შექმნილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია

23. შეიძლება მოდისციპლინირებული აუდიტორული მოსაზრება ან მიმოხილვის დასკვნა იყო გაცემული იმ წყაროსთან მიმართებაში, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია ან შექმნილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, ან ამგვარ წყაროსთან მიმართებაში შეიძლება გაცემული იყო დასკვნა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს. ასეთ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კანონი ან წესები ასეთი წყაროს გამოყენებას არ კრძალავს, პრაქტიკოსმა უნდა შეაფასოს:
- ა) ამ სიტუაციის პოტენციური გავლენა იმაზე, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე; (იხ: პუნქტი გ39)
 - ბ) რა დამატებითი ზომები უნდა მიიღოს; და (იხ: პუნქტი გ40)
 - გ) აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს თუ არა პრაქტიკოსის შესაძლებლობაზე, დასკვნა შეადგინოს გარიგების პირობების შესაბამისად, მათ შორის, პრაქტიკოსის დასკვნაზე.

წყარო, საიდანაც ამოღებული დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, ან პროფორმა კორექტირებები არ არის შესაფერისი

24. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე პრაქტიკოსი დაადგენს, რომ პასუხისმგებელმა მხარემ:
- ა) არ გამოიყენა შესაფერისი წყარო დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის ამოღებისთვის; ან
 - ბ) გამოტოვა აუცილებელი პროფორმა კორექტირება, ან ისეთი პროფორმა კორექტირება გამოიყენა, რომელიც არ არის გამოყენებული კრიტერიუმების შესაბამისი, ან არასწორად გამოიყენა პროფორმა კორექტირება,

პრაქტიკოსმა საკითხი პასუხისმგებელ მხარესთან ერთად უნდა განიხილოს. თუ პრაქტიკოსი ვერ მიაღწევს შეთანხმებას პასუხისმგებელ მხარესთან იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხი, მან უნდა განსაზღვროს, რა ზომებს უნდა მიმართოს შემდეგ. (იხ: პუნქტი გ40)

მტკიცებულებების მოპოვება პროფორმა ფინანსურ ინფორმაციის გაანგარიშების შესახებ

25. პრაქტიკოსმა უნდა დაადგინოს, არითმეტიკულად ზუსტია თუ არა პროფორმა ფინანსურ ინფორმაციის გაანგარიშებები.

პროფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შეფასება

26. პრაქტიკოსმა უნდა შეაფასოს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენა. ამ შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ა) პროფორმა ფინანსური ინფორმაციის საერთო წარდგენა და სტრუქტურა, მათ შორის, ნათლად არის თუ არა იგი გამოყოფილი გასული პერიოდის ან სხვა ფინანსური ინფორმაციისაგან; (იხ: პუნქტები გ2–გ3)
 - ბ) პროფორმა ფინანსურ ინფორმაციასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში მოვლენის ან ოპერაციის გავლენა ისეთი სახით არის თუ არა ნაჩვენები, რომელიც შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებლებს; (იხ: პუნქტი გ41)
 - გ) პროფორმა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილია თუ არა სხვა სათანადო ინფორმაცია, რომელიც გამიზნულ მომხმარებლებს მისცემს მიწოდებული ინფორმაციის გაგების საშუალებას; (იხ: პუნქტი გ42)
 - დ) პრაქტიკოსისთვის ცნობილი გახდა თუ არა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოხდა იმ წყაროს თარიღის შემდეგ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, რომლის შესახებ მითითება პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაში ან ინფორმაციის გამჟღავნება განმარტებით შენიშვნებში აუცილებელია. (იხ: პუნქტი გ43)
27. პრაქტიკოსი უნდა გაეცნოს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შემცველ პროსპექტში ასახულ სხვა ინფორმაციას, რათა დაადგინოს არსებითი შეუსაბამობა (თუ ასეთი არსებობს) პროფორმა ფინანსურ ინფორმაციასთან ან მარწმუნებელ დასკვნასთან. თუ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაციის გაცნობისას, პრაქტიკოსი დაადგენს რამე არსებით შეუსაბამობას, ან მისთვის ცნობილი გახდება ამ ინფორმაციაში არსებული არსებითი უზუსტობის შესახებ, პრაქტიკოსმა ეს საკითხი პასუხისმგებელ მხარესთან ერთად უნდა განიხილოს. თუ საკითხის გასწორება აუცილებელია და პასუხისმგებელი მხარე უარს ამბობს ამაზე, პრაქტიკოსმა უნდა მიიღოს შემდგომი სათანადო ზომები. (იხ: პუნქტი გ44)

ოფიციალური წერილები

28. პრაქტიკოსმა პასუხისმგებელი მხარისგან უნდა მოითხოვოს ოფიციალური წერილები იმის შესახებ, რომ:
- ა) პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისას პასუხისმგებელმა მხარემ განსაზღვრა ყველა ის შესაფერისი პროფორმა კორექტირება, რომლებიც აუცილებელია მოვლენის ან ოპერაციის გავლენის საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის ან პერიოდის განმავლობაში; და (იხ: პუნქტი გ45)
 - ბ) პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე.

მოსაზრების ჩამოყალიბება

29. პრაქტიკოსმა უნდა ჩამოაყალიბოს მოსაზრება იმის შესახებ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. (იხ: პუნქტები გ46–გ48)
30. ამგვარი მოსაზრების ჩამოყალიბების მიზნით, პრაქტიკოსმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, მოიპოვა თუ არა მან საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას, ან პროფორმა ფინანსური კორექტირებები არასთანადოდ იყო თუ არა გამოყენებული. ამგვარი დასკვნა უნდა მოიცავდეს იმის შეფასებას, პასუხისმგებელმა მხარემ სათანადოდ წარმოადგინა და აღწერა თუ არა შესაფერისი კრიტერიუმები იმ შემთხვევაში, თუ ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის. (იხ: პუნქტები გ49–გ50)

მოსაზრების ფორმა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

31. პრაქტიკოსმა არამოდიფიცირებული მოსაზრება უნდა გამოთქვას იმ შემთხვევაში, როდესაც დაასკვნის, რომ პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია

განახორციელა შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოდულიზირებული მოსაზრება

32. ბევრ იურისდიქციაში შესაბამისი კანონი ან წესები კრძალავს ისეთი პროსპექტის გამოქვეყნებას, რომელიც შეიცავს მოდიფიცირებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. თუ ასეთ სიტუაციაში პრაქტიკოსი მაინც დაასკვნის, რომ მგსს 3000-ის (გადასინჯული) თანახმად, აუცილებელია მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმა, მან ეს საკითხი პასუხისმგებელ მხარესთან ერთად უნდა განიხილოს. თუ პასუხისმგებელი მხარე არ ეთანხმება საჭირო ცვლილებების შეტანას, პრაქტიკოსმა:
- ა) თავი უნდა შეიკავოს დასკვნის გაცემისაგან;
 - ბ) უნდა გამოვიდეს გარიგებიდან; ან
 - გ) განიხილოს იურიდიული კონსულტაციის აუცილებლობის საკითხი.
33. ზოგიერთ იურისდიქციაში შესაბამისი კანონი ან წესები შეიძლება არ კრძალავდეს ისეთი პროსპექტის გამოქვეყნებას, რომელიც შეიცავს მოდიფიცირებულ მოსაზრებას იმის შესახებ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთ იურისდიქციებში თუ პრაქტიკოსი დაადგენს, რომ მოდიფიცირებული მოსაზრება შესაფერისია მგსს 3000-ის (გადასინჯული) თანახმად, მან უნდა გამოიყენოს მგსს 3000-ის (გადასინჯული)⁶ მოთხოვნები მოდიფიცირებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

34. ზოგიერთ გარემოებაში, პრაქტიკოსმა შეიძლება აუცილებლად მიიჩნიოს მომხმარებლების ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხზე, რომელიც ასახულია პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაში, ან გამჟღავნებულია თანდართულ განმარტებით შენიშვნებში. ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც, პრაქტიკოსის აზრით, მოცემულ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მომხმარებლებისთვის, იმ თვალსაზრისით, რომ გაიგონ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთ ვითარებაში, პრაქტიკოსმა თავის დასკვნას უნდა დაამატოს მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, თუკი პრაქტიკოსს მოპოვებული აქვს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ეს საკითხი გავლენას არ ახდენს იმაზე, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. ამგვარი აბზაცი უნდა შეეხოს მხოლოდ ისეთ ინფორმაციას, რომელიც წარდგენილია პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაში, ან გამჟღავნებულია მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებში.

მარწმუნებელი დასკვნის მომზადება

35. პრაქტიკოსის დასკვნა უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ძირითად ელემენტებს: (იხ: პუნქტი გ57)
- ა) სათაურს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს დასკვნა დამოუკიდებელი მარწმუნებელი დასკვნაა; (იხ: პუნქტი გ51)
 - ბ) ადრესატ(ებ)ს, როგორც გარიგების პირობებშია შეთანხმებული; (იხ: პუნქტი გ52)
 - გ) შესავალ აბზაცებს, სადაც აღწერილია: (იხ: პუნქტი გ53)
 - (i) პროფორმა ფინანსური ინფორმაცია;

⁶ მგსს 3000 (გადასინჯული), 74-ე პუნქტი.

- (ii) წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია და გამოქვეყნებულია თუ არა ამ წყაროს შესახებ აუდიტის ან მიმოხილვის დასკვნა;
 - (iii) პროფორმა ფინანსური ინფორმაციით მოცული პერიოდი, ან თარიღი, რომლისთვისაც მომზადებულია პროფორმა ფინანსური ინფორმაცია; და
 - (iv) მითითებულია შესაფერისი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც პასუხისმგებელმა მხარემ განახორციელა პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია, ასევე ამ კრიტერიუმების წყარო;
- დ) განცხადებას იმის შესახებ, რომ პასუხისმგებელი მხარეა პასუხისმგებელი პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაზე შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ე) პრაქტიკოსის პასუხისმგებლობების აღწერას, მათ შორის:
- (i) პრაქტიკოსის პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე;
 - (ii) მოცემული გარიგების მიზნებისთვის პრაქტიკოსს არ ევალება პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემული მოსაზრებების გადახედვა ან დასკვნების ხელახლა შედგენა და, ამასთან, პრაქტიკოსს გარიგების შესრულებისას, არც პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა არ ჩაუტარებია; და
 - (iii) პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის ერთადერთი მიზანია მნიშვნელოვანი მოვლენის ან ოპერაციის სუბიექტის დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე გავლენის დემონსტრირება ისე, თითქოს ეს მოვლენა უკვე მოხდა, ან ეს ოპერაცია უკვე განხორციელდა ადრე, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის. შესაბამისად, პრაქტიკოსი არანაირ რწმუნებას არ გასცემს იმის შესახებ, ამ მოვლენის ან ოპერაციის ფაქტობრივი შედეგი ამ თარიღისთვის იქნება თუ არა ისეთი, როგორც აქ არის აღწერილი;
- ვ) განცხადებას იმის შესახებ, რომ გარიგება განხორციელდა მგს 3420-ის - „მარწმუნებელი გარიგებები დასკვნის შედგენაზე კომპილირებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომელიც აისახება ფასიანი ქაღალდების პროსპექტში“ - შესაბამისად, რომლის თანახმად, პრაქტიკოსმა უნდა დაეგმოს და ჩაატაროს პროცედურები დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია განახორციელა თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ზ) განცხადებას იმის თაობაზე, რომ ფირმა, რომლის წარმომადგენელიც არის პრაქტიკოსი, იყენებს ხკს 1-ს, ან სხვა პროფესიულ ან კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც არანაკლებ მკაცრია ხკს 1-ის მოთხოვნებზე. თუ პრაქტიკოსი არ არის პროფესიონალი ბუღალტერი, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული პროფესიული ან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც არანაკლებ მკაცრია ხკს 1-ის მოთხოვნებზე;
- თ) განცხადებას იმის თაობაზე, რომ პრაქტიკოსი იცავს დამოუკიდებლობისა და ბესს-ის კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ მოთხოვნებს, ან სხვა პროფესიულ თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც არანაკლებ მკაცრია, ვიდრე მარწმუნებელ გარიგებებთან დაკავშირებული ბესს-ის კოდექსის დებულებები. თუ პრაქტიკოსი არ არის პროფესიონალი ბუღალტერი, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული პროფესიული ან კანონმდებლობით დადგენილი ის მოთხოვნები, რომლებიც არანაკლებ მკაცრია, ვიდრე მარწმუნებელ გარიგებებთან დაკავშირებული ბესს-ის კოდექსის დებულებები.
- ი) განცხადებას იმის თაობაზე, რომ:

- (i) დასაბუთებული რწმუნების გარიგება, რომელიც ეხება დასკვნის შედგენას იმის თაობაზე, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმის დასადგენად, პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს გამოყენებული შესაფერისი კრიტერიუმები უზრუნველყოფს თუ არა იმ დასაბუთებულ საფუძველს იმ მნიშვნელოვანი გავლენის წარმოსაჩენად, რომელსაც უშუალოდ განაპირობებს მოცემული მოვლენა ან ოპერაცია, ასევე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით:
 - შესაბამისი პროფორმა კორექტირებები სათანადო გავლენას ახდენს თუ არა ამ კრიტერიუმებზე; და
 - პროფორმა ფინანსური ინფორმაცია ასახავს თუ არა აღნიშნული კორექტირებების შეტანას დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაში;
 - (ii) პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია პრაქტიკოსის პროფესიულ განსჯაზე, რომლის დროსაც პრაქტიკოსი ითვალისწინებს მოპოვებულ ინფორმაციას სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკისა და იმ მოვლენის ან ოპერაციის შესახებ, რომელთა მიმართებაშიც კომპილირებულია მოცემული პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, ასევე გარიგებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებებს; და
 - (iii) გარიგება ასევე მოიცავს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის საერთო წარდგენის შეფასებას;
- კ) თუ კანონით ან წესებით სხვა რამ არ მოითხოვება - პრაქტიკოსის მოსაზრებას, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთ-ერთი შემდეგი ფრაზის გამოყენებით, რომლებიც ეკვივალენტურად მიიჩნევა: (იხ: პუნქტები გ54-გ56)
- (i) პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, [შესაფერისი კრიტერიუმები] საფუძველზე; ან
 - (ii) პროფორმა ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ კომპილირებულია მითითებული საფუძვლის შესაბამისად;
- ლ) პრაქტიკოსის ხელმოწერას;
- მ) ანგარიშის თარიღსა; და
- ნ) პრაქტიკოსის მისამართს იმ იურისდიქციაში, სადაც ის საქმიანობს.

გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა

წინამდებარე მგსს-ის მოქმედების სფერო (იხ: პუნქტი გ1)

გ1. წინამდებარე სტანდარტი არ ეხება ისეთ გარემოებებს, როდესაც პროფორმა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ნაწილის სახით, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად.

პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის მიზანი

(იხ: პუნქტები მე-4, 11(გ), 14(გ), 26(ა))

გ2. პროფორმა ფინანსურ ინფორმაციას თან ახლავს შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ხშირად შეიცავს გ42 პუნქტში ჩამოყალიბებულ საკითხებს.

- გ3. პროსპექტში შეიძლება შეტანილი იყოს სხვადასხვა სახით წარდგენილი პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, რაც დამოკიდებულია მოვლენის ან ოპერაციის ხასიათსა და იმაზე, როგორ სურს პასუხისმგებელ მხარეს ასეთი მოვლენის ან ოპერაციის გავლენის დემონსტრირება სუბიექტის დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე. მაგალითად, სუბიექტმა შეიძლება შეიძინოს რამდენიმე საწარმო მათი აქციების პირველად საჯაროდ შეთავაზებამდე. ასეთ ვითარებაში პასუხისმგებელ მხარეს უფლება აქვს აირჩიოს პროფორმა ანგარიშგების წარდგენა ნეტო აქტივების შესახებ, რათა აჩვენოს საწარმოთა შეძენის გავლენა სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე სუბიექტის ისეთი ძირითადი კოეფიციენტები (მაჩვენებლები), როგორცაა სასესხო და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა ისე, თითქოს შეძენილი საწარმოები სუბიექტთან გაერთიანდა უფრო ადრე. პასუხისმგებელმა მხარემ შეიძლება ასევე გადაწყვიტოს პროფორმა მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაც იმის დემონსტრირებითვის, თუ რა შედეგები შეიძლება ჰქონოდა ოპერაციებს იმ პერიოდში, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ასეთ შემთხვევაში პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეიძლება დასათაურდეს შემდეგნაირად: „პროფორმა ანგარიშგება ნეტო აქტივების შესახებ 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით“ და „პროფორმა მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 20X1 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის“.

პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია

დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია (იხ: პუნქტები მე-5, 11(ვ),14(ა))

- გ4. ბევრ შემთხვევაში წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, იქნება გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაცია, როგორცაა წლიური ან შუალედური ფინანსური ანგარიშგება.
- გ5. იქიდან გამომდინარე, თუ მოვლენის ან ოპერაციის გავლენის როგორი სახით დემონსტრირებას აირჩევს პასუხისმგებელი მხარე, დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს:
- ერთი ან რამდენიმე ტიპის ფინანსურ ანგარიშგებას, როგორცაა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და სრული შემოსავლის ანგარიშგება; ან
 - ფინანსური ინფორმაცია შემოკლებული სახით, რომელიც სათანადოდ არის ამოკრებილი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტიდან, მაგალითად, ანგარიშგება ნეტო აქტივების შესახებ.

დასაბუთებული რწმუნების გარიგების ხასიათი (იხ: მე-6 პუნქტი)

- გ6. მოცემულ მგსს-ში ფრაზა პროფორმა ფინანსური ინფორმაცია „კომპილირებულია სათანადოდ“ იმას ნიშნავს, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია პასუხისმგებელი მხარის მიერ კომპილირებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე.

განმარტებები

შესაფერისი კრიტერიუმები (იხ: პუნქტი 11(ა))

- გ7. როდესაც პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის დადგენილი კრიტერიუმები არ არსებობს, პასუხისმგებელ მხარეს თვითონ ექნება შემუშავებული კრიტერიუმები, მაგალითად რომელიმე კონკრეტულ დარგში დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, ან იმ იურისდიქციის კრიტერიუმების საფუძველზე, რომელსაც შემუშავებული და დადგენილი აქვს კრიტერიუმები და ეს ფაქტი ცნობილია.
- გ8. პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოსაყენებელი კრიტერიუმები კონკრეტული გარემოებების შესაფერისი იქნება, თუ ისინი აკმაყოფილებს მე-14 პუნქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.
- გ9. თანდართული განმარტებითი შენიშვნები შეიძლება მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას კრიტერიუმების შესახებ იმის საჩვენებლად, როგორ ახდენს ისინი კონკრეტული მოვლენის ან

ოპერაციის გავლენის დემონსტრირებას. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად:

- თარიღს, როდესაც, დაშვებების თანახმად, მოხდა მოვლენა ან განხორციელდა ოპერაცია;
- მეთოდს, რომლის გამოყენებითაც ხდება შემოსავლების, ზედნადები ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების განაწილება შესაბამის საწარმოებზე გასხვისების დროს.

გარიგებაზე დათანხმება

გარიგების განსახორციელებლად საჭირო უნარები და კომპეტენცია (იხ: პუნქტი 13(ა))

გ10. ბესსს-ის კოდექსი მოითხოვს, რომ კომპეტენტური პროფესიონალური მომსახურების გაწევის მიზნით, პრაქტიკოსმა უნდა დაიცვას პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპი, რისთვისაც უნდა შეიძინოს და შეინარჩუნოს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნიკურ და პროფესიულ სტანდარტებსა და შესაფერის კანონმდებლობაზე და იმოქმედოს გულმოდგინედ ამგვარი პროფესიული სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.⁷ ბესსს-ის კოდექსის ამ მოთხოვნის კონტექსტში, გარიგების შესასრულებლად აუცილებელი პროფესიული კომპეტენცია–შესაძლოა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- იმ დარგის ცოდნა და მუშაობის გამოცდილება, რომელშიც კონკრეტული სუბიექტი საქმიანობს;
- ფასიანი ქაღალდების შესახებ არსებული შესაბამისი კანონებისა და წესების და მათში მომხდარი ცვლილებების ცოდნა;
- შესაბამის საფონდო ბირჟაზე კოტირების პირობებისა და კაპიტალის ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ფლობა, როგორიცაა საწარმოთა შერწყმა, შექმნა და ფასიანი ქაღალდების განთავსება;
- პროსპექტის მომზადების წესებისა და საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების კოტირების პროცესის ცოდნა; და
- იმ წყაროების მოსამზადებლად გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების ცოდნა, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია და, შესაბამის შემთხვევებში, შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია.

პასუხისმგებელი მხარის პასუხისმგებლობა (იხ: პუნქტი 13(ბ))

გ11. მოცემული მგსს-ის შესაბამისად გარიგება ტარდება გარკვეული დაშვების (წინაპირობის) საფუძველზე - პასუხისმგებელი მხარე აღიარებს და ადასტურებს, რომ მას გააჩნია 13(ბ) პუნქტში ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობები. ზოგიერთ იურისდიქციაში ასეთი პასუხისმგებლობები შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონმდებლობით. სხვა იურისდიქციებში შეიძლება არ არსებობდეს საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოების განმარტება ამგვარი პასუხისმგებლობების, ან განმარტება შეზღუდული სახით იყოს წარმოდგენილი. მარწმუნებელი გარიგება, რომელიც ეხება დასკვნის შედგენას იმის შესახებ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, ეყრდნობა დაშვებას იმის თაობაზე, რომ:

- ა) პრაქტიკოსის ფუნქციებში არ შედის ასეთი ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება; და
- ბ) პრაქტიკოსს გააჩნია გარიგებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების დასაბუთებული მოლოდინი.

7. ბესსს-ის კოდექსი, პუნქტი მ113.1.

შესაბამისად, აღნიშნულ დაშვებას არსებითი მნიშვნელობა აქვს გარიგების ჩატარებისთვის. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მგს 3000-ით (გადასინჯული) მოითხოვება, რომ გარიგების პირობების შეთანხმებისა და დოკუმენტირების პროცესში პრაქტიკოსმა პასუხისმგებელ მხარესთან შეთანხმოს, რომ იგი აღიარებს და ესმის, რომ მას გააჩნია 13(ზ) პუნქტში აღწერილი პასუხისმგებლობები.⁸

გ12. თუ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით საკმარისად დეტალურად არის დადგენილი გარიგების პირობები, პრაქტიკოსს სჭირდება მხოლოდ იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ გამოიყენება აღნიშნული კანონი ან ნორმატიული აქტი და პასუხისმგებელი მხარე აღიარებს და მისთვის გასაგებია თავისი პასუხისმგებლობები, როგორც ეს 13(ზ) პუნქტშია ჩამოყალიბებული.

გარიგების დაგეგმვა და შესრულება

შესაფერისი კრიტერიუმების მიზანშეწონილობის შეფასება

მოვლენასთან ან ოპერაციასთან უშუალოდ დაკავშირებული კორექტირებები
(იხ: პუნქტები 14(ბ)(i), 22(ა))

გ13. აუცილებელია, რომ პროფორმა კორექტირებები უშუალოდ იყოს დაკავშირებული კონკრეტულ მოვლენასთან ან ოპერაციასთან, რათა პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაში არ აისახოს ისეთი საკითხები, რომლებიც არ არის მხოლოდ ამ მოვლენის შედეგი ან ამ ოპერაციის განუყოფელი ნაწილი. უშუალოდ დაკავშირებულ კორექტირებებში არ შედის ისეთი კორექტირებები, რომლებიც მომავალ მოვლენებს უკავშირდება, ან დამოკიდებულია ისეთ ზომებზე, რომლებიც ოპერაციის დასრულებისას უნდა გატარდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ზომები ძალიან მნიშვნელოვანია ამ ოპერაციის მონაწილე სუბიექტისათვის (მაგალითად, შეძენის შემდეგ ზედმეტი საწარმოო ობიექტების დახურვა).

კორექტირებები, რომლებიც დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით (იხ: პუნქტები 14(ბ)(ii), 22(ბ))

გ14. პროფორმა ფინანსური ინფორმაციისთვის საიმედო საფუძვლის შესაქმნელად ასევე აუცილებელია, რომ პროფორმა კორექტირებები დასტურდებოდეს ფაქტობრივი მონაცემებით. კორექტირებები, რომლებიც ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება, შესაძლებელია ობიექტურად განისაზღვროს. პროფორმა კორექტირებებისთვის ფაქტობრივი მონაცემების წყაროებს განეკუთვნება, მაგალითად:

- ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები;
- მოვლენის ან ოპერაციის დაფინანსების დოკუმენტები, როგორებიცაა სასესხო ხელშეკრულებები;
- დამოუკიდებელი შეფასების ანგარიშები;
- კონკრეტულ მოვლენასთან ან ოპერაციასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები;
- გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებები;
- პროსპექტში შეტანილი სხვა ფინანსური ინფორმაცია;
- შესაბამისი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ზომები, მაგალითად საგადასახადო დაბეგვრის სფეროში;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებები.

კორექტირებები, რომლებიც შეესაბამება სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებს და ამ საფუძვლების მიხედვით განსაზღვრულ მის სააღრიცხვო პოლიტიკას (იხ: პუნქტები 11(ბ)(ii), 14(ბ)(iii), 22(გ))

გ15. იმისათვის, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია საზრიანი იყოს, აუცილებელია, პროფორმა კორექტირებები შეესაბამებოდეს სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო

⁸ მგს 3000 (გადასინჯული), 27-ე პუნქტი.

საფუძვლებს და ამ საფუძვლების მიხედვით განსაზღვრულ მის სააღრიცხვო პოლიტიკას. საწარმოთა გაერთიანების კონტექსტში, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის პროცესი მოიცავს ისეთი საკითხების გათვალისწინებას, როგორცაა, მაგალითად:

- განსხვავებულია თუ არა შეძენილი საწარმოსა და სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკა; და
- სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ეხება შეძენილი საწარმოს მიერ განხორციელებულ ოპერაციებს, რომელთა მონაწილე სუბიექტი მანამდე არ ყოფილა, არის თუ არა ის პოლიტიკა, რომელსაც სუბიექტი ასეთი ოპერაციებისთვის გაატარებდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თავისი საფუძვლების შესაბამისად, სუბიექტის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

გ16. სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის მისაღებლობის განხილვა შეიძლება ასევე აუცილებელი იყოს ზოგიერთ გარემოებაში. მაგალითად, სუბიექტმა, კონკრეტული მოვლენის ან ოპერაციის ფარგლებში, შეიძლება დააპიროს რთული ფინანსური ინსტრუმენტების პირველად გამოშვება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი იყოს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- პასუხისმგებელმა მხარემ ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის აირჩია თუ არა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თავისი საფუძვლების თანახმად; და
- სათანადოდ აქვს თუ არა მას გამოყენებული ეს პოლიტიკა პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს.

არსებითობა (იხ: მე-16 პუნქტი)

გ17. არსებითობა იმის შეფასებასთან მიმართებაში, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ერთ რაოდენობრივ მაჩვენებელზე. იგი დამოკიდებულია კომპილირებულ ინფორმაციაში გამოტოვებული ან არასათანადოდ გამოყენებული ელემენტის მოცულობასა და ხასიათზე, როგორც აღწერილია გ18 პუნქტში, იმის მიუხედავად, ეს წინასწარგანზრახვით არის გაკეთებული თუ არა. მსჯელობა ამ ელემენტის მოცულობისა და ხასიათის შესახებ, თავის მხრივ, დამოკიდებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- მოვლენის ან ოპერაციის კონტექსტი;
- მიზანი, რის გამოც ხდება პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია; და
- გარიგებებთან დაკავშირებული გარემოებები.

გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება იყოს საკითხის მოცულობა ან ხასიათი, ან ორივე ერთად.

გ18. რისკი იმისა, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეიძლება არ იყოს მიჩნეული, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე კომპილირებულად, შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც არსებობს იმის მტკიცებულება, რომ:

- დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის ამოღებისთვის გამოყენებულია არასათანადო წყარო;
- დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია არასწორად არის ამოღებული სათანადო წყაროდან;
- კორექტირებებთან მიმართებაში - სააღრიცხვო პოლიტიკა არასწორად არის გამოყენებული, ან კორექტირებები არ შეესაბამება სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკას;
- შესრულებული არ არის შესაფერისი კრიტერიუმებით გათვალისწინებული აუცილებელი კორექტირება;
- ისეთი კორექტირება შეტანილი, რომელიც სათანადო კრიტერიუმების შესაბამისი არ არის;

- პროფორმა ფინანსური ინფორმაციის გამოთვლებში დაშვებულია მათემატიკური ან ტიპოგრაფიული შეცდომები;
- განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი ან სწორი, ან გამოტოვებულია ინფორმაცია.

ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია და გარიგებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები (იხ: მე-17 პუნქტი)

გ19. პრაქტიკოსმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოიპოვოს ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურების ერთობლივად ჩატარებით:

- პასუხისმგებელი მხარისა და სუბიექტის სხვა პერსონალის გამოკითხვა, როლებიც მონაწილეობენ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაში;
- სხვა შესაფერისი მხარეების გამოკითხვა, როგორცაა, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები და სუბიექტის კონსულტანტები;
- შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციის გაცნობა, როგორცაა, ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების სხდომის ოქმების გაცნობა.

როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია (იხ: პუნქტი 17(ბ))

გ20. იმის დასადგენად, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია, პრაქტიკოსს შეუძლია, მაგალითად განიხილოს:

- წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია;
- პასუხისმგებელი მხარის მიერ მიღებული ზომები:
 - დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის წყაროდან ამოღების მიზნით;
 - სათანადო პროფორმა კორექტირებების განსაზღვრის მიზნით, მაგალითად პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისას როგორ მოიპოვა პასუხისმგებელმა მხარემ შემენილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია;
- პასუხისმგებელი მხარის კომპეტენცია პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის საკითხში;
- პასუხისმგებელი მხარის მხრიდან პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაში მონაწილე სუბიექტის სხვა პერსონალის ზედამხედველობის ხასიათი და ხარისხი;
- პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის გასამყარებლად შესაფერისი ინფორმაციის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული მიდგომა.

გ21. საწარმოთა გაერთიანების ან გასხვისების შემთხვევაში, პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს სირთულეები შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად შემდეგ სფეროებში: შემოსავლის, ზედნადები ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების განაწილება შესაბამის საწარმოებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკოსს ესმოდეს ასეთი განაწილების დროს პასუხისმგებელი მხარის მიერ გამოყენებული მიდგომა და კრიტერიუმები და ის ფაქტი, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაციაზე დართულ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებულია ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.

სუბიექტისა და შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს საქმიანობის სპეციფიკა (იხ: პუნქტი 17(გ))

გ22. შეძენილი საწარმო შეიძლება იყოს იურიდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტი ან სხვა სუბიექტის სტრუქტურაში შემავალი, დამოუკიდებლად იდენტიფიცირებადი იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ერთეული, როგორცაა ქვედანაყოფი, ფილიალი ან საქმიანობის მიმარ-

თულება. გასხვისებული საწარმო შეიძლება იყოს იურიდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტი, როგორცაა შვილობილი კომპანია ან ერთობლივი საწარმო, ან სხვა სუბიექტის სტრუქტურაში შემავალი დამოუკიდებლად იდენტიფიცირებადი იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ერთეული, როგორცაა ქვედანაყოფი, ფილიალი ან საქმიანობის მიმართულება.

გ23. პრაქტიკოსს სუბიექტისა და შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს შესახებ, ასევე მათი შესაბამისი გარემო პირობების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ მიღებული ჰქონდეს, თუ მას ჩატარებული ექნება მათი ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა.

შესაბამისი დარგობრივი, სამართლებრივი და მარეგულირებელი, ასევე სხვა გარე ფაქტორები (იხ: პუნქტი 17(დ))

გ24. შესაბამისი დარგობრივი ფაქტორები მოიცავს, მაგალითად კონკურენტულ გარემოს, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობებს, ასევე ტექნოლოგიის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, პრაქტიკოსს შეუძლია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ბაზარი და კონკურენცია, მათ შორის, მოთხოვნა, შესაძლებლობები და ფასებით კონკურენცია;
- კონკრეტულ დარგში დამკვიდრებული სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის მეთოდები;
- ციკლური ან სეზონური საქმიანობა;
- სუბიექტის პროდუქტებთან დაკავშირებული წარმოების ტექნოლოგიები.

გ25. შესაბამისი სამართლებრივ და მარეგულირებელ ფაქტორებს განეკუთვნება სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემო. ზემოაღნიშნული, სხვასთან ერთად, მოიცავს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი, ან, როდესაც შესაფერისია, შეძენილი საწარმო ამზადებს პერიოდულ ფინანსურ ინფორმაციას, ასევე სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოს. ამასთან დაკავშირებით, პრაქტიკოსს შეუძლია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები;
- რეგულირებადი დარგის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა;
- კანონმდებლობა და ნორმატიული ბაზა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტის ან, როდესაც შესაფერისია, შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს ოპერაციებზე, მათ შორის, უშუალო ზედამხედველობა;
- საგადასახადო დაბეგვრა;
- სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც იმ მომენტში გავლენას ახდენს სუბიექტის მართვაზე ან, როდესაც შესაფერისია, შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს საქმიანობაზე, როგორცაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (მათ შორის, სავალუტო კონტროლის სისტემა), ფისკალური პოლიტიკა, ფინანსური შეღავათები (მაგალითად, სახელმწიფო დახმარების პროგრამები) და სატარიფო ან სავაჭრო შეზღუდვების პოლიტიკა;
- გარემოსდაცვითი მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენს სუბიექტის ან შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს დარგსა და საქმიანობაზე.

გ26. გარდა ამისა, პრაქტიკოსს შეუძლია სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც გავლენას ახდენს სუბიექტზე და, როდესაც შესაფერისია, შეძენილი ან გასხვისებულ საწარმოზე, როგორცაა, მაგალითად საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, საპროცენტო განაკვეთები და დაფინანსების შესაძლებლობა, ასევე ინფლაცია ან ვალუტის რევალვაცია.

*მტკიცებულებების მოპოვება იმ წყაროს მისაღებლობის შესახებ, საიდანაც ამოღებულია
დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია*

შესაბამისი გასათვალისწინებელი ფაქტორები (იხ: პუნქტი 14(ა) და მე-18)

გ27. იმ წყაროს მისაღებლობა, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის ამ წყაროს შესახებ აუდიტორის დასკვნის ან მიმოხილვის ანგარიშის არსებობაზე, ასევე:

- ამ წყაროს გამოყენება ნებადართული ან კონკრეტულად დადგენილია თუ არა შესაბამისი კანონით ან წესებით, ნებადართულია თუ არა შესაბამისი საფონდო ბირჟის მიერ, სადაც უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების პროსპექტის წარდგენა, ან გამოყენებულია თუ არა ეს წყარო ბაზარზე დამკვიდრებული ჩვეული წესებისა და მეთოდების შესაბამისად;
- არის თუ არა წყარო აშკარად იდენტიფიცირებადი;
- წყარო წარმოადგენს თუ არა პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის დასაბუთებულ ბაზას, კონკრეტული მოვლენის ან ოპერაციის გათვალისწინებით, მათ შორის, შეესაბამება თუ არა სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკას და შედგენილია თუ არა სათანადო თარიღის მდგომარეობით, ან მოიცავს თუ არა სათანადო პერიოდს.

გ28. იმ წყაროს აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის ანგარიში, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, შეიძლება გაცემული იყოს სხვა პრაქტიკოსის მიერ. მიუხედავად ამისა, ასეთ სიტუაციაშიც, პრაქტიკოსს, რომელიც დასკვნას გასცემს მოცემული მგს-ის შესაბამისად, მაინც მოეთხოვება სუბიექტის ოპერაციებისა და მისი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდების შესწავლა 17(გ) და (ე) პუნქტების შესაბამისად, ასევე იმაში დარწმუნება, რომ წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, მისაღებია.

არ არსებობს აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის ანგარიში იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია (იხ: მე-19 პუნქტი)

გ29. თუ არ არსებობს აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის ანგარიში იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს პროცედურები ამ წყაროს მისაღებლობის დასადგენად. ამგვარი პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა, მაგალითად:

- მანამდე ჩაუტარებია თუ არა პრაქტიკოსს სუბიექტის გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა და რა ინფორმაცია მიიღო ამ გარიგების შედეგად პრაქტიკოსმა ამ სუბიექტის შესახებ;
- ყველაზე ბოლოს როდის ჩატარდა სუბიექტის გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა;
- სუბიექტის ფინანსურ ინფორმაციას პერიოდულად იხილავს თუ არა პრაქტიკოსი, მაგალითად ანგარიშგების წარდგენის ნორმატიული მოთხოვნების დაცვის მიზნებისთვის.

გ30. არსებობს იმის ალბათობა, რომ ჩატარებული იქნება აუდიტი ან მიმოხილვა სუბიექტის იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგების, რომელიც წინ უსწრებს იმ წყაროთი მოცულ პერიოდს, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, თუნდაც არ იყოს ჩატარებული თვითონ იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია. მაგალითად, წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, შეიძლება ის შუალედური ფინანსური ანგარიშგება იყოს, რომლის აუდიტი ან მიმოხილვა არ ჩატარებულა, ხოლო სუბიექტის წინა ფინანსური წლისთვის ფინანსურ ანგარიშგებას შეიძლება ჩატარებული ჰქონოდა აუდიტი. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკოსს იმ წყაროს მისაღებლობის დასადგენად (გ29 პუნქტში განხილული ფაქტორების გათვალისწინებით), საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, შეუძლია მაგალითად შემდეგი პროცედურების ჩატარება:

- პასუხისმგებელი მხარის გამოკითხვა შემდეგი საკითხების დასადგენად:
 - პროცესები, რომლის მიხედვითაც მომზადდა წყარო, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი მონაცემების სანდოობა, რომელსაც უნდა თანხვედბოდეს ან შეესაბამებოდეს წყარო;
 - ყველა ოპერაცია ასახული იყო თუ არა ბუღალტრულად;
 - წყარო მომზადებულია თუ არა სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
 - რაიმე ცვლილება განხორციელდა თუ სააღრიცხვო პოლიტიკაში ყველაზე ბოლოს ჩატარებული აუდიტის ან მიმოხილვის შემდეგ, ხოლო თუ ცვლილება განხორციელდა, როგორ მოხდა მათი გათვალისწინება;
 - სუბიექტის მიერ შეფასებული რისკი იმისა, რომ წყარო შეიძლება არსებითად მცდარი იყოს, თაღლითობის გამო;
 - სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობასა და ოპერაციებში მომხდარი ცვლილებების შედეგი.
- თუ პრაქტიკოსის მიერ არის ჩატარებული წინა წლიური ან შუალედური ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა, აუდიტის ან მიმოხილვის შედეგების გათვალისწინება და შესაძლოა თუ არა, რომ ეს შედეგები მიანიშნებდეს იმ წყაროს მომზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია;
- პასუხისმგებელი მხარის მიერ პრაქტიკოსის გამოკითხვების საპასუხოდ მიწოდებული ინფორმაციის დადასტურება, თუ ეს პასუხები არ შეესაბამება პრაქტიკოსის მიერ სუბიექტის შესახებ შექმნილ წარმოდგენას, ან გარიგების გარემოებებს.
- წყაროს შედარება წინა პერიოდის შესაბამის ფინანსურ ინფორმაციასთან და, როდესაც შესაფერისია, უშუალო წინა პერიოდის წლიურ ან შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, ასევე პასუხისმგებელ მხარესთან მნიშვნელოვანი ცვლილებების განხილვა.

სუბიექტის გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა არასდროს ჩატარებულა (იხ: პუნქტი 13(ე))

გ31. იმ შემთხვევისა გარდა, როდესაც სუბიექტი შექმნილია კონკრეტული ოპერაციის განსახორციელებლად და იგი არასდროს აწარმოებდა სავაჭრო საქმიანობას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაბამისი კანონით ან წესებით სუბიექტს ექნება ფასიანი ქაღალდების პროსპექტის გამოცემის უფლება, თუ მისი გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა არასდროს ჩატარებულა.

მტკიცებულებების მოპოვება პროფორმა კორექტირებების მისაღებლობის შესახებ

მისაღები პროფორმა კორექტირებების დადგენა (იხ: 21-ე პუნქტი)

გ32. პრაქტიკოსმა მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე იმის შესახებ, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია, ასევე გარიგებებთან დაკავშირებული სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება მოიპოვოს მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, პასუხისმგებელმა მხარემ სათანადოდ განსაზღვრა თუ არა აუცილებელი პროფორმა კორექტირებები, ისეთი პროცედურების კომბინირებულად ჩატარებით, როგორცაა, მაგალითად:

- პასუხისმგებელი მხარის მიერ შესაფერისი პროფორმა კორექტირებების განსაზღვრის დროს გამოყენებული მიდგომის, მაგალითად შემოსავლის, ზედნადები ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისი საწარმოებზე სათანადოდ განაწილებისთვის გამოყენებული მეთოდის დასაბუთებულობის შეფასება;
- შექმნილ საწარმოში შესაბამისი მხარეების გამოკითხვა შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის ამოღების მეთოდთან დაკავშირებით;

- შესაბამისი ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან სხვა დოკუმენტების კონკრეტული ასპექტების შეფასება;
- სუბიექტის კონსულტანტების გამოკითხვა მოვლენის ან ოპერაციის კონკრეტული ასპექტებისა და შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თაობაზე, რომლებიც შესაბამისი კორექტირებების განსაზღვრას ეხება;
- პასუხისმგებელი მხარისა და პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაში მონაწილე სუბიექტის სხვა პერსონალის მიერ მომზადებული შესაბამისი ანალიტიკური მასალისა და სამუშაო ცხრილების შეფასება;
- პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაში მონაწილე სუბიექტის სხვა პერსონალის ზედამხედველობის შესახებ მტკიცებულებების მოპოვება;
- ანალიზური პროცედურების ჩატარება.

ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც ეხება შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც გათვალისწინებულია პროფორმა კორექტირებებში (იხ: პუნქტი 22(ბ))

გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია

- გ33. სუბიექტის მიერ საწარმოს გასხვისების შემთხვევაში, გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია მიიღება იმ წყაროდან, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, რომლის აუდიტი ან მიმოხილვა ხშირად იქნება ჩატარებული. აქედან გამომდინარე, წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსს მისცემს იმის განსაზღვრის საფუძველს, გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია დასტურდება თუ არა ფაქტობრივი მონაცემებით. ასეთ შემთხვევაში, განსახილველი იქნება, მაგალითად შემდეგი საკითხები: გასხვისებულ საწარმოსთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც კონსოლიდირებულ დონეზეა აღრიცხული, სათანადოდ აისახა თუ არა პროფორმა კორექტირებებში.
- გ34. თუ არ ჩატარებულა იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსს შეუძლია გ29–გ30 პუნქტებში მოცემული რეკომენდაციების გამოყენება იმის დასადგენად, გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია დასტურდება თუ არა ფაქტობრივი მონაცემებით.

შეძენილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია

- გ35. შეიძლება ჩატარებული იყოს იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია შეძენილი საწარმოს დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია. თუ პრაქტიკოსის მიერ არის ჩატარებული იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია შეძენილი საწარმოს დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, შეძენილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია მიიჩნევა ფაქტობრივი მონაცემებით დადასტურებულად, 23-ე პუნქტში განხილული გარემოებების სავარაუდო შედეგების გათვალისწინებით.
- გ36. შეიძლება სხვა პრაქტიკოსის მიერ იყოს ჩატარებული იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია შეძენილი საწარმოს დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, ასეთ სიტუაციაშიც, პრაქტიკოსს, რომელიც დასკვნას გასცემს მოცემული მგსს-ის შესაბამისად, მაინც მოეთხოვება სუბიექტის ოპერაციებისა და მისი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდების შესწავლა 17(გ) და (ე) პუნქტების შესაბამისად, ასევე იმაში დარწმუნება, რომ წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, მისაღებია.
- გ37. თუ არ ჩატარებულა იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია შეძენილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს ამ წყაროს მისაღებლობის დასადგენად შესაბამისი პროცედურები. ამგვარი პროცედურების ხასიათსა და მოცულობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა, მაგალითად:

- მანამდე ჩაუტარებია თუ არა პრაქტიკოსს შექმნილი საწარმოს გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა და რა ინფორმაცია მიიღო ამ გარიგების შედეგად პრაქტიკოსმა ამ სუბიექტის შესახებ;
- ყველაზე ბოლოს როდის ჩატარდა შექმნილი საწარმოს გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა;
- შექმნილი საწარმოს ფინანსურ ინფორმაციას პერიოდულად იხილავს თუ არა პრაქტიკოსი, მაგალითად ანგარიშგების წარდგენის ნორმატიული მოთხოვნების დაცვის მიზნებისთვის.

გ38. არსებობს იმის ალბათობა, რომ ჩატარებული იქნება აუდიტი ან მიმოხილვა შექმნილი საწარმოს იმ პერიოდის ფინანსური ანგარიშგების, რომელიც წინ უსწრებს იმ წყაროთი მოცულ პერიოდს, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, თუნდაც არ იყოს ჩატარებული თვითონ იმ წყაროს აუდიტი ან მიმოხილვა, საიდანაც ამოღებულია შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკოსს იმის დასადგენად, შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია დასტურდება თუ არა ფაქტობრივი მონაცემებით (გ37 პუნქტში განხილული ფაქტორების გათვალისწინებით), შეუძლია შემდეგი პროცედურების ჩატარება:

- შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობის გამოკითხვა შემდეგი საკითხების დასადგენად:
 - პროცესები, რომლის მიხედვითაც მომზადდა წყარო, საიდანაც ამოღებულია შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი მონაცემების სანდოობა, რომელსაც უნდა თანხვდებოდეს ან შეესაბამებოდეს წყარო;
 - ყველა ოპერაცია ასახული იყო თუ არა ბუღალტრულად;
 - წყარო, საიდანაც ამოღებულია შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, მომზადებულია თუ არა შექმნილი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
 - რაიმე ცვლილება განხორციელდა თუ სააღრიცხვო პოლიტიკაში ყველაზე ბოლოს ჩატარებული აუდიტის ან მიმოხილვის შემდეგ, ხოლო თუ ცვლილება განხორციელდა, როგორ მოხდა მათი გათვალისწინება;
 - შექმნილი საწარმოს მიერ შეფასებული რისკი იმისა, რომ წყარო, საიდანაც ამოღებულია შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, შეიძლება არსებითად მცდარი იყოს თაღლითობის გამო;
 - სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობასა და ოპერაციებში მომხდარი ცვლილებების შედეგი.
- თუ პრაქტიკოსის მიერ არის ჩატარებული წინა წლიური ან შუალედური ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა, აუდიტის ან მიმოხილვის შედეგების გათვალისწინება და შესაძლოა თუ არა, რომ ეს შედეგები მიაჩნებდეს იმ წყაროს მომზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საიდანაც ამოღებულია შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაცია;
- შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ პრაქტიკოსის გამოკითხვების საპასუხოდ მიწოდებული ინფორმაციის დადასტურება, თუ ეს პასუხები არ შეესაბამება პრაქტიკოსის მიერ შექმნილი საწარმოს შესახებ შექმნილ წარმოდგენას, ან გარიგების გარემოებებს.
- შექმნილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის წყაროს შედარება წინა პერიოდის შესაბამის ფინანსურ ინფორმაციასთან და, როდესაც შესაფერისია, უშუალო წინა პერიოდის წლიურ ან შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასთან, ასევე შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელობასთან მნიშვნელოვანი ცვლილებების განხილვა.

მოდულიზირებული აუდიტორული მოსაზრება ან მიმოხილვის დასკვნა, ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი იმ წყაროსთან მიმართებაში, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, ან შექმნილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია

პოტენციური შედეგი (იხ: პუნქტი 23(ა))

გ39. აუცილებელი არ არის, ყველა მოდიფიცირებულმა აუდიტორულმა მოსაზრებამ ან მიმოხილვის დასკვნამ ან მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველმა აზრამ, რომელიც დაკავშირებულია იმ წყაროსთან, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია ან შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია, გავლენა იქონიოს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის შესაძლებლობაზე შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. მაგალითად, პირობითი აუდიტორული მოსაზრება შეიძლება გამოთქმული იყოს სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების შესახებ იმის გამო, რომ მითითებული არ იყო ინფორმაცია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ანაზღაურების შესახებ, როგორც ამას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძველები მოითხოვს. თუ ასეთ შემთხვევაში ეს ფინანსური ანგარიშგება გამოიყენეს წყაროს სახით, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, დასკვნის ამგვარი პირობითობა შეიძლება არანაირ გავლენას არ მოახდენს პროფორმა ნეტო აქტივებისა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებების შედგენის შესაძლებლობაზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე.

დამატებითი შესაფერისი ზომები (იხ: პუნქტები 23(ბ), 24-ე)

გ40. პრაქტიკოსს შეუძლია დამატებითი შესაფერისი ზომების გატარება, მაგალითად:

- 23(ბ) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით:
 - პასუხისმგებელ მხარესთან ერთად საკითხის განხილვა;
 - შესაბამისი კანონით ან წესებით დაშვებულ შემთხვევაში, პრაქტიკოსის დასკვნაში მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების, მიმოხილვის დასკვნის ან მნიშვნელოვან გარემოებათა აზრის მითითება, თუ, პრაქტიკოსის პროფესიული შეფასებით, ეს საკითხი მნიშვნელოვანია მომხმარებლების მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის გასაგებად;
- 24-ე პუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, შესაბამისი კანონით ან წესებით დაშვებულ შემთხვევაში, პრაქტიკოსის მოსაზრების მოდიფიცირება;
- შესაბამისი კანონით ან წესებით დაშვებულ შემთხვევაში, დასკვნის გაცემისგან თავის შეკავება ან გარიგებიდან გამოსვლა;
- იურიდიული კონსულტაციის მიღება.

პროფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შეფასება

შეცდომაში შემყვან ფინანსურ ინფორმაციასთან კავშირის თავიდან აცილება (იხ: პუნქტი 26(ბ))

გ41. ბესსს-ის კოდექსი მოითხოვს, რომ პრაქტიკოსი შეგნებულად არ უნდა იყოს დაკავშირებული ანგარიშებთან, საგადასახადო დეკლარაციებთან, ცნობებთან ან სხვა ინფორმაციასთან, თუ დარწმუნებულია, რომ ეს ინფორმაცია⁹:

- ა) შეიცავს არსებითად მცდარ ან ან შეცდომაში შემყვან განცხადებას;
- ბ) შეიცავს უსაფუძვლო განცხადებებს ან დაუდევრად მომზადებულ ინფორმაციას; ან
- გ) გამოტოვებულია ან ბუნდოვნად არის წარმოდგენილი ისეთი საჭირო ინფორმაცია, რომლის გამოტოვება ან არასწორად გაგება მკითხველს შეცდომაში შეიყვანს.

პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაზე დართული განმარტებითი შენიშვნები
(იხ: პუნქტები 14(გ), 26(გ))

⁹ ბესსს-ის კოდექსი, პუნქტი მ111.2.

გ42. განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული სათანადო ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- პროფორმა ფინანსური ინფორმაციის ხასიათი და მიზანი, მათ შორის, მოვლენის ან ოპერაციის ხასიათი, ასევე თარიღი, როდესაც, დაშვების თანახმად, მოხდა ეს მოვლენა ან განხორციელდა ოპერაცია;
- წყარო, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნებულია თუ არა ასეთი წყაროს შესახებ აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის ანგარიში;
- პროფორმა კორექტირებები, მათ შორის, თითოეული კორექტირების აღწერა და ახსნა. შეძენილი ან გასხვისებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შემთხვევაში, ამაში იგულისხმება წყარო, საიდანაც ამოღებულია ასეთი ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნებულია თუ არა ამ წყაროს შესახებ აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის ანგარიში;
- იმ შესაფერისი კრიტერიუმების აღწერა, რომელთა საფუძველზეც კომპილირებულია პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, თუ ეს კრიტერიუმები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი; და
- განცხადება იმის შესახებ, რომ პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის და, მისი ხასიათიდან გამომდინარე, იგი არ ასახავს სუბიექტის ფაქტობრივ ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ან ფულადი სახსრების მოძრაობას.

ზემოაღნიშნული ან სხვა კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება მოითხოვებოდეს შესაბამისი კანონით ან წესებით.

მნიშვნელოვანი შემდგომი მოვლენების განხილვა (იხ: პუნქტი 26(დ))

გ43. ვინაიდან პრაქტიკოსი დასკვნას არ ადგენს იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, პრაქტიკოსს არ მოეთხოვება პროცედურების ჩატარება ამ წყაროს თარიღის შემდეგ მომხდარი ისეთი მოვლენების დასადგენად, რომლებიც საჭიროებს ასეთი წყაროს კორექტირებას ან მის განმარტებით შენიშვნებში სათანადო ინფორმაციის გამჟღავნებას. ამის მიუხედავად, პრაქტიკოსმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, პრაქტიკოსის ყურადღება მიიქცია თუ არა დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის წყაროს თარიღის შემდეგ მომხდარმა რაიმე ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომელიც საჭიროებს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში მითითებას, ან მის შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა. ამგვარი განხილვა ეყრდნობა წინამდებარე მგსს-ის შესაბამისად პროცედურების ჩატარებას, ან პრაქტიკოსის მიერ სუბიექტისა და გარიგების გარემოებების შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას. მაგალითად, იმ წყაროს თარიღის შემდეგ, საიდანაც ამოღებულია დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაცია, სუბიექტს შეიძლება განხორციელებული ჰქონდეს კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებს თავისი კონვერტირებადი სავალო ფასიანი ქაღალდების (ინსტრუმენტების) კონვერტაციას საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებში, რის შესახებ ინფორმაციის არგამჟღავნების გამო, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეიძლება შეცდომაში შემყვანი გახდეს.

არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასთან (იხ: 27-ე პუნქტი)

გ44. თუ პასუხისმგებელი მხარე უარს იტყვის პროფორმა ფინანსური ინფორმაციის ან სხვა ინფორმაციის გადასინჯვაზე (და შესწორებაზე), პრაქტიკოსს შეუძლია შემდეგი დამატებითი ზომების გატარება:

- შესაბამისი კანონით ან წესებით დაშვებულ შემთხვევაში:
 - პრაქტიკოსის დასკვნაში არსებული არსებითი შეუსაბამობის აღწერა;
 - პრაქტიკოსის მოსაზრების მოდიფიცირება;

- დასკვნის გაცემისაგან თავის შეკავება ან გარიგებიდან გამოსვლა;
- იურიდიული კონსულტაციის მიღება.

ოფიციალური წერილები (იხ: პუნქტი 28(ა))

გ45. ზოგიერთ გარემოებაში, გარკვეული ტიპის ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება აუცილებელი გახდეს, რომ პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა კორექტირებებისთვის ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა შეარჩიოს, რომელთა ფორმულირება სუბიექტს მანამდე არ დასჭირვებია, რადგან არ განუხორციელებია შესაბამისი ოპერაციები. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკოსს უფლება აქვს, პასუხისმგებელ მხარეს მოთხოვოს, რომ მან ოფიციალურ წერილებში ასევე გაითვალისწინოს დასტური იმის შესახებ, რომ შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს სუბიექტის მიერ ასეთი ტიპის ოპერაციებისთვის დამტკიცებულ პოლიტიკას.

მოსაზრების ჩამოყალიბება

რწმუნება შესაბამისი კანონით ან წესებით მოთხოვნილი დამატებითი საკითხების შესახებ
(იხ: 29-ე პუნქტი)

გ46. შესაბამისი კანონით ან წესებით პრაქტიკოსს შეიძლება მოეთხოვოს მოსაზრების გამოთქმა ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის იმასთან, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, კომპილირებულია თუ არა შესაფერისი კრიტერიუმების საფუძველზე. ზოგიერთ ასეთ გარემოებაში შეიძლება აუცილებელი არ იყოს პრაქტიკოსის მიერ დამატებითი პროცედურების ჩატარება. მაგალითად, შესაბამისი კანონით ან წესებით პრაქტიკოსს შეიძლება მოეთხოვოს მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, საფუძველი, რომლის თანახმადაც პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია განახორციელა, შეესაბამება თუ არა სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკას. წინამდებარე მგსს-ის მე-8 და 22(გ) პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა.

გ47. სხვა გარემოებებში პრაქტიკოსს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი პროცედურების ჩატარება. ასეთი დამატებითი პროცედურების ხასიათი და ფარგლები განსხვავებული იქნება იმ სხვა საკითხების ხასიათიდან გამომდინარე, რომელთა შესახებაც მოსაზრების გამოთქმა პრაქტიკოსს შესაბამისი კანონით ან წესებით მოეთხოვება.

განცხადება პრაქტიკოსის პასუხისმგებლობის შესახებ დასკვნის შედგენაზე

გ48. შესაბამისი კანონით ან წესებით პრაქტიკოსს შეიძლება მოეთხოვოს, რომ მან პრაქტიკოსის დასკვნაში შეიტანოს ისეთი მკაფიო განცხადება, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს პრაქტიკოსის პასუხისმგებლობას დასკვნის შედგენაზე. პრაქტიკოსის დასკვნაში ასეთი დამატებითი იურიდიული ან მარეგულირებელი განცხადების შეტანა არ ეწინააღმდეგება მოცემული მგსს-ის მოთხოვნებს.

ინფორმაციის გამჟღავნება შესაფერისი კრიტერიუმების შესახებ (იხ: 30-ე პუნქტი)

გ49. პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაზე დართულ განმარტებით შენიშვნებში განმეორებით არ უნდა მიუთითოს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შესაბამისი კანონით ან წესებით, ან უფლებამოსილი ან აღიარებული სტანდარტების დამდგენი ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი. ასეთი კრიტერიუმები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი ანგარიშგების გამოქვეყნების წესების შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, იგულისხმება პასუხისმგებელი მხარის მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს.

გ50. თუ პასუხისმგებელ მხარეს აქვს შემუშავებული სპეციალური კრიტერიუმები, აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნება ამ კრიტერიუმების შესახებ, რათა მომხმარებლებმა სათანადოდ გაიგონ, როგორ განახორციელა პასუხისმგებელმა მხარემ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია.

მარწმუნებელი დასკვნის მომზადება

სათაური (იხ: პუნქტი 35(ა))

გ51. სათაური, რომელიც მიუთითებს, რომ მოცემული დასკვნა მომზადებულია დამოუკიდებელი პრაქტიკოსის მიერ, მაგალითად „დამოუკიდებელი პრაქტიკოსის მარწმუნებელი დასკვნა ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებულ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით“, ადასტურებს, რომ პრაქტიკოსმა დაიცვა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ყველა სათანადო ეთიკური მოთხოვნა, როგორც მოითხოვება მგსს 3000-ით (გადასინჯული).¹⁰ დამოუკიდებელი პრაქტიკოსის მიერ მომზადებული დასკვნა ამით განსხვავდება სხვების მიერ შედგენილი დასკვნებისგან/ანგარიშებისგან.

ადრესატ(ებ)ი (იხ: პუნქტი 35(ბ))

გ52. შესაბამისი კანონით ან წესებით შეიძლება განსაზღვრული იყოს დასკვნის ადრესატ(ებ)ი. ალტერნატივის სახით, პრაქტიკოსს უფლება აქვს, გარიგების პირობებზე შეთანხმების ფარგლებში, სუბიექტს შეუთანხმდეს იმის თაობაზე, ვინ იქნება დასკვნის ადრესატ(ებ)ი.

შესავალი პუნქტები (იხ: პუნქტი 35(გ))

გ53. ვინაიდან პროფორმა ფინანსური ინფორმაცია შეტანილი იქნება პროსპექტში, რომელიც სხვა ინფორმაციას შეიცავს, პრაქტიკოსს უფლება აქვს გაითვალისწინოს (თუ წარდგენის ფორმატი ამის საშუალებას იძლევა) ისეთი მინიშნების შეტანა, რომელიც დოკუმენტის იმ ნაწილზე მიუთითებს, რომელშიც პროფორმა ფინანსური ინფორმაციაა ასახული. ეს აღნიშნული დოკუმენტის მომხმარებლებს იმ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის დადგენაში დაეხმარება, რომელსაც პრაქტიკოსის დასკვნა ეხება.

მოსაზრება (იხ: პუნქტები 13(გ), 35(თ))

გ54. ამა თუ იმ იურისდიქციაში პრაქტიკოსმა რომელი ფორმულირება უნდა გამოიყენოს თავისი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად – „პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით [შესაფერისი კრიტერიუმები] საფუძველზე“, თუ „პროფორმა ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ კომპილირებულია მითითებული საფუძვლის შესაბამისად“, განსაზღვრული იქნება იმ კანონით ან წესებით, რომელიც მოცემულ იურისდიქციაში არეგულირებს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის შესახებ დასკვნის შედგენას, ან ამ იურისდიქციაში საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკით.

გ55. ზოგიერთ იურისდიქციაში მოქმედი შესაბამისი კანონი ან წესები შეიძლება პრაქტიკოსის მოსაზრების ტექსტისთვის ზემოთ განხილულისგან განსხვავებულ ფორმულირებას ითვალისწინებდეს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს, პრაქტიკოსმა შეაფასოს, სავარაუდოდ, შეძლებს თუ არა კანონით ან წესებით დადგენილი სახით მოსაზრების გამოთქმას ამ მგსს-ით განსაზღვრული პროცედურების ჩატარების საფუძველზე, ან აუცილებელი იქნება თუ არა დამატებითი პროცედურების ჩატარება.

გ56. თუ პრაქტიკოსი დასკვნის, რომ მოცემულ მგსს-ში ჩამოყალიბებული პროცედურების ჩატარება საკმარისი იქნება იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად შეძლოს კანონით ან წესებით დადგენილი ფორმულირების გამოყენება, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ამ ტექსტის მიჩნევა წინამდებარე მგსს-ით გათვალისწინებული მოსაზრების ორი სხვადასხვა ფორმულირების ეკვივალენტურად.

საილუსტრაციო დასკვნა (იხ: 35-ე პუნქტი)

გ57. დანართში განხილულია პრაქტიკოსის დასკვნის ნიმუში, რომელიც მოიცავს არამოდიფიცირებულ მოსაზრებას.

¹⁰ მგსს 3000 (გადასინჯული), მე-20 პუნქტი.

დანართი

(იხ: პუნქტი გ57)

არამოდიფიცირებული მოსაზრების შემცველი პრაქტიკოსის დასკვნის საილუსტრაციო ნიმუში

დამოუკიდებელი პრაქტიკოსის მარწმუნებელი დასკვნა ფასიანი ქაღალდების
პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის
კომპილაციასთან დაკავშირებით

[შესაბამისი ადრესატ(ებ)ი]

დასკვნა ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის შესახებ

ჩვენ შევასრულეთ მარწმუნებელი გარიგება [პასუხისმგებელი მხარის] მიერ განხორციელებულ ABC
კომპანიის პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის შესახებ დასკვნის შესადგენად.
აღნიშნული პროფორმა ფინანსური ინფორმაცია მოიცავს [ნეტო აქტივების შესახებ პროფორმა
ანგარიშგებას [თარიღის] მდგომარეობით], [მოგებისა და ზარალის პროფორმა ანგარიშგებას [თარიღი]
დასრულებული პერიოდისთვის], [ფულადი ნაკადების პროფორმა ანგარიშგებას [თარიღი]
დასრულებული პერიოდისთვის] და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს [რაც მოცემულია კომპანიის
მიერ მომზადებული ფასიანი ქაღალდების პროსპექტის XX-XX გვერდებზე]. სათანადო კრიტერიუმები,
რომელთა საფუძველზეც [პასუხისმგებელმა მხარემ] პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია
განახორციელა, [განსაზღვრულია [ფასიანი ქაღალდების შესახებ XX წესებში] და აღწერილია [X
განმარტებით შენიშვნაში]/აღწერილია [X განმარტებით შენიშვნაში]].

[პასუხისმგებელმა მხარემ] პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია განახორციელა იმ
მიზნით, რომ ეჩვენებინა [X განმარტებით შენიშვნაში დახასიათებული] [მოვლენის ან ოპერაციის]
გავლენა [კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მითითებული თარიღისთვის] [და] [კომპანიის/მისი
საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე] [და ფულადი სახსრების მოძრაობაზე] მითითებული თარიღით
დასრულებული პერიოდისთვის ისე, თითქოს ეს [მოვლენა ან ოპერაცია] მოხდა/განხორციელდა
[მიუთითეთ თარიღი] [და მიუთითეთ თარიღი, შესაბამისად]. კომპილაციის მიზნებისთვის,
[პასუხისმგებელმა მხარემ] ინფორმაცია კომპანიის [ფინანსური მდგომარეობის], [მისი საქმიანობის
ფინანსური შედეგებისა] [და ფულადი სახსრების მოძრაობის] შესახებ ამოიღო [მიუთითეთ თარიღი
დასრულებული პერიოდის] კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან, რომელთა შესახებ გამოქვეყ-
ნებულია [[აუდიტორის დასკვნა]/[მიმოხილვის ანგარიში]/[აუდიტორის დასკვნა ან მიმოხილვის
ანგარიში გამოქვეყნებული არ არის]].¹¹

[პასუხისმგებელი მხარის] პასუხისმგებლობა პროფორმა ფინანსურ ინფორმაციაზე

[პასუხისმგებელი მხარე] პასუხისმგებელია პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციაზე
[სათანადო კრიტერიუმების] საფუძველზე.

ჩვენი დამოუკიდებლობა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი
ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსით (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო
სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა
ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული
კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალურობისა და პროფესიული ქცევის
ძირითად პრინციპებზე.

¹¹ აუდიტის ან მიმოხილვის დასკვნის მოდიფიცირების შემთხვევაში, შეიძლება მიეთითოს, პროსპექტში სად არის
აღწერილი მოდიფიკაცია.

ფორმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს 1-ს¹² და, შესაბამისად, გააჩნია ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის, დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, მოსაზრება გამოვთქვათ, [როგორც ამას [ფასიანი ქაღალდების წესები XX] მოითხოვს] იმის შესახებ, [პასუხისმგებელმა მხარემ] პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილაცია განახორციელა თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, [სათანადო კრიტერიუმების] საფუძველზე.

გარიგება შევასრულეთ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტ (მგსს) 3420-ის - „მარწმუნებელი გარიგებები დასკვნის შედგენაზე ფასიანი ქაღალდების პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციასთან დაკავშირებით“ - შესაბამისად. ეს სტანდარტი მოითხოვს, რომ პრაქტიკოსმა დაგეგმოს და ჩაატაროს პროცედურები დასაბუთებული რწმუნების მოსაპოვებლად იმის თაობაზე, [პასუხისმგებელმა მხარემ] პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია განახორციელა თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, [სათანადო კრიტერიუმების] საფუძველზე.

ამ გარიგების მიზნებისთვის, ჩვენ არ გვევალება ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის შესახებ გაცემული მოსაზრებების გადახედვა ან დასკვნების ხელახლა შედგენა. ამასთან, წინამდებარე გარიგების დროს არ ჩაგვიტარებია პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის აუდიტი ან მიმოხილვა.

პროსპექტში გათვალისწინებული პროფორმა ფინანსური ინფორმაციის ერთადერთი მიზანია, სუბიექტის დაუკორექტირებელ ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი მოვლენის ან ოპერაციის გავლენის დემონსტრირება ისე, თითქოს ეს მოვლენა მოხდა, ან ეს ოპერაცია განხორციელდა ადრე, საილუსტრაციო მიზნებისთვის შერჩეული თარიღისთვის. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ არანაირ რწმუნებას იმის შესახებ, ამ მოვლენის ან ოპერაციის ფაქტობრივი შედეგი [მიუთითეთ თარიღი] იქნება თუ არა ისეთი, როგორც აქ არის აღწერილი.

დასაბუთებული რწმუნების გარიგება დასკვნის შედგენაზე იმის შესახებ, პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სათანადო კრიტერიუმების საფუძველზე, მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმის დასადგენად, [პასუხისმგებელი მხარის] მიერ პროფორმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის დროს გამოყენებული სათანადო კრიტერიუმები უზრუნველყოფს თუ არა დასაბუთებულ საფუძველს იმ მნიშვნელოვანი გავლენის წარმოსაჩენად, რომელსაც უშუალოდ განაპირობებს მოცემული მოვლენა ან ოპერაცია, ასევე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას იმასთან დაკავშირებით:

- შესაბამისი პროფორმა კორექტირებები სათანადო გავლენას ახდენს თუ არა ამ კრიტერიუმებზე; და
- პროფორმა ფინანსური ინფორმაცია ასახავს თუ არა აღნიშნული კორექტირებების სათანადოდ გამოყენებას დაუკორექტირებელი ფინანსური ინფორმაციის მიმართ.

პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია პრაქტიკოსის პროფესიულ განსჯაზე, რომლის დროსაც პრაქტიკოსი ითვალისწინებს მოპოვებულ ინფორმაციას სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკისა და იმ მოვლენის ან ოპერაციის შესახებ, რომელთა მიმართებაშიც კომპილირებულია მოცემული პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, ასევე გარიგებასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს.

¹² ხკსს 1 - „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელ და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.

გარიგება ასევე ითვალისწინებს პროფორმა ფინანსური ინფორმაციის საერთო წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი აზრით, [პროფორმა ფინანსური ინფორმაცია კომპილირებულია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, [სათანადო კრიტერიუმების] საფუძველზე]/[პროფორმა ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ არის კომპილირებული მითითებული საფუძვლის შესაბამისად].

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

[შესაბამისი კანონით ან წესებით პრაქტიკოსს შეიძლება მოეთხოვებოდეს მოსაზრების გამოთქმა სხვა საკითხებზეც (იხილეთ გ46–გ47 პუნქტები). პრაქტიკოსის დასკვნის ამ განყოფილების ფორმა და შინაარსი განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, რა ტიპის იქნება სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობები.]

[პრაქტიკოსის ხელმოწერა]

[პრაქტიკოსის დასკვნის მომზადების თარიღი]

[პრაქტიკოსის მისამართი]

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს IAASB-ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და იმ პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ს საქმიანობა.

IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Control (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2021 წლის აპრილი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ი. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის უფასოდ გადმოწერა, ან ყიდვა www.iaasb.org ვებგვერდის მეშვეობით. ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Assurance Engagements', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Related Services', 'International Standards on Quality Control', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'ISQC', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.



529 Fifth Avenue, New York, NY 10017

T+1(212) 286-9344 F+1(212) 286-9570

www.iaasb.org

ISBN: 978-1-60815-498-2